არალეგალური ოპერაციებისა და ზარალის ანაზღაურების დეტალები

არალეგალურად ჩაითვლება საბარათე ოპერაცია, რომელიც განხორციელდა ბარათის მფლობელის ნების გარეშე, ოპერაციის შესრულებისას არ ყოფილა გამოყენებული პინ-კოდი.

ანაზღაურებას ექვემდებარება:

1. ანაზღაურებას ექვემდებარება არალეგალური ოპერაცია, რომლის განხორციელების თარიღიდან არ გასულა 45 კალენდარულ დღეზე მეტი;
2. ანაზღაურებას ექვემდებარება 45 კალენდარული დღის განმავლობაში განხორციელებული მაქსიმუმ 5 თანმიმდევრული არალეგალური ტრანზაქცია;
3. ანაზღაურებას ექვემდებარება არალეგალური ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ და/ან ონლაინ.
4. ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის პაკეტით, რომელიც შეძენილი აქვს ბარათის მფლობელს.
5. თანხის ანაზღაურდება მოხდება კლიენტის მომართვიდან 5 სამუშაო დღეში. იმ შემთხვევაში, თუ საბარათე განყოფილების მიერ იქნა მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტები, ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღეში.
6. ასანაზღაურებელი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება კრედო ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე.
7. საქართველოს ფარგლებში ჩატარებული არალეგალური ტრანზაქციით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, ბანკს უნდა წარედგინოს ცნობა სამართალდამცავი ორგანოდან, რითაც დადასტურდება, რომ საბარათე ანგარიშის მფლობელმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოს არალეგალურ ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

1. არაპირდაპირი ზარალი, რომელიც გამოწვეულია რაიმე მიზეზით თანხის განაღდების ან/და გადახდის ოპერაციის განუხორციელებლობით.
2. ზარალი თანხის დაბლოკვის გამო. შემთხვევა, როდესაც ბარათის მფლობელმა უარი თქვა შენაძენზე, მაგრამ ავტორიზაცია გაუქმებული არ იყო.
3. ზარალი, რომელიც დადგა ბარათის მფლობელის თაღლითური ან სხვა უკანონო ქმედებების შედეგად.
4. ზარალი, რომელიც დადგა ბარათის მფლობელის მიერ ამ ბარათის ან მისი მონაცემების მესამე პირებისთვის ნებაყოფლობით გადაცემის შედეგად.
5. თუ ბარათის მფლობელი უარს აცხადებს ზარალის მიზეზის და გარემოებების გარკვევის მიზნით შესაბამის სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობაზე.
6. ზარალი, რომლის შესახებ განაცხადსაც ბარათის მფლობელი ბანკს წარუდგენს ოპერაციის განხორციელებიდან 45 კალენდარული დღის შემდეგ.

ბანკის მიერ ნებისმიერი ოდენობის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში მოხდება ბარათის და დაზღვევის სერვისის გაუქმება.